

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განსაზღვრის

დღი ასოებით ასოზე 1კაპ., სვეტულებრივის ასოებითა .
რულოთ ასოზე ნახევარი კაპ. სვეტულებრივის ასოთი ასო .
ზე მეტხელა კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და
შეაქოვებს დასაბეჭდად კამოგზავნილ წერილებს. დაუ-
ბეჭდელ წერილს რედაქცია ფოტოთი ვერ დაუბეჭდებს
გეტყვას.
განცხადება მოაღება ქართულს, რუსულს და სხვა ენა-
ზედ.

რედაქცია
რედაქცია მდებარეობს თბილისში თ. ლუარსაძის
რულოთის სახლში, № 2.
ხელის-მოწერა
„დროებას“ „ივერიის“ რედაქციაში გადგე
ცხოვრებათა თვის: В Тифлисе, въ редакціи
„Дროба“, „Иверіи“
„დროება“-„ივერიის“ ფასი
წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს
„დროებას“ „ივერიის“ ერთად. . . 13 მან. . . 7 მან. . . 4 მ.
„დროებას“ 9 მან. . . 5 მან. . . 3 მ.
„ივერიის“ 6 მან. . . 4 მან. . . 2 მ.
ცალკე ნაშენად, „დროებას“ და „ივერიის“ 2 მან.

1 ივლისიდან წლის დამლევაში დროება ღირს ხუთი მანეთი ივერია ოთხი მანეთი „დროება“ და „ივერია“ ერთად შვიდი მანეთი

სახანო. საიჯარადრო მიწები ტფილისი, 21 ივლისს.

ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო
ამას წინათ ამბავი სახელმწიფო ქო-
ნებათა სამინისტროს განზრახვა აქესო
გამოსცეს განკარგულება, რომ სახელ-
მწიფო მიწების შეიჯარადრებს არ
ჰქონდესთ უფლება სხვებზე გადასცენ
იჯარითვე ეს მიწები, და ამას გარდა
ნაწილ-ნაწილად დაჰყონ საიჯარადრო
ალაგები და იმათ გაცემაში გლეხებს
მიენიჭოსო უპირატესობა.

მაშინაც ესთქვით და ახლაც ვამ-
ბობთ, რომ ეს განკარგულება ყოე-
ლად—საქები და ჩინებული განკარ-
გულება იქნება.

შნდა იცოდეთ—რა რიგათ წარ-
მოებს ამ ჟამად ჩვენში სახელმწიფო
მიწების იჯარით გაცემა:

როდესაც რომელიმე დიდი ალაგია
იჯარით გასაცემი, ჩვენი სახელმწიფო
ქონებათა გამგეობა გაზ. „მავკაში“
აბეჭდებენ განცხადებას, რომ ესა-
და-ეს ალაგები იჯარით გაიცემა და
მსურველს შეუძლიან ბუბერნის
სამმართველოს კანცელარიაში მოვი-
დეს, ამა-და-ამ დღეს ვაჭრობა არის
დანიშნულიო. ბლენები, რომელთაც,
რუსული კითხვა კი არა, სამშობლო
ენაზედ დაწერილის წაკითხვაც ეძე-

ლებათ, ამ განცხადებას ვერ ტყობი-
ლობენ, ტყობილობენ ვაჭრები, სომ-
ხები, მიდიან დანიშნულ დროს და
თითქმის სულ მუქთად იგდებენ ხელ-
ში ამ იჯარას.

ან კიდევ პირ-და-პირ სახელმწიფო
ქონებათა გამგეობის აგენტთან მიდი-
ან და იმისაგან, ვაჭრობის დაუნიშნა-
ვად, იღებენ საიჯარო მიწებს.

შემდეგ ნაწილ-ნაწილად ჰყოფენ
და ერთი-სამ, ერთი-ოთხ ფასად გლე-
ხებზედ აქირავებენ. თითქმის ყველ-
გან, საცა კი სახელმწიფო საიჯარო
მიწები, ამ გვარად არის გაცემული,
სარგებლობს ვაჭრები, რომელსაც მი-
წის შემუშავების თავი არა აქვს და
ვინც მიწაში თავის ძალ-ღონეს აკ-
ლავს, ვინც ოფოსა ჰდერის ის კი
სიკეთეს ვერა ჰხედავს.

ამ ცუდის მდგომარეობიდან გამო-
სასვლელად, ჩვენის აზრით, მართლა
ძალიან კარგი იქნება, რომ შემოყვა-
ნილი განკარგულება სახელმწიფო
ქონებათა სამინისტროსი რაც შეიძ-
ლება მალე მოიყვანონ სისრულე-
ში.

მაგრამ მართა განკარგულების
მოხდენა არ კმარა; საჭიროა ისე
წაიყვანონ საქმე, რომ ამ საქმეში
მართლა იმათ მიეცესთ სარგებლობა,
ვისაც სამართლით უნდა ეძლეოდეს;
ამისათვის ურიგო არ იქნება, რომ
სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემა
ქვემო მოყვანილის წესით მოხდებო-
დეს.

როდესაც რომელიმე სახელმწიფო
სახანა-სათესი ანუ საბალახე ადგილე-
ბის იჯარით გაცემა ჰსურთ, ეს გარე-
მოება ყველაზე უმალ ამ ადგილების
მოსამზღვრე სოფლის გლეხებს შეატ-
ყობინონ და წინადადება მისცეს იმათ
სახელმწიფო ქონებათა გამგეობის

აგენტმა—თუ უნდათ იჯარით აიღონ.
თუ იმათ არ ისურვებს ან ვერ მო-
თავსდენ აგენტთან, მაშინ ამ მაზრის
აგენტებმა იმის მაზრის ყველა სოფ-
ლის კანცელარიაში ააკვეციონ და
გილობრივს ენაზედ დაბეჭდილი განც-
ხადება, ამა-და-ამ ადგილას სახელმწი-
ფო ადგილებია იჯარით გასაცემი და
მსურველს დანიშნულ ფასად შეუძ-
ლიან აიღოს, ამა-და-ამ დროს ვაჭ-
რობა იქნება ზედ და სხვ.

თუ არც მაშინ გათავდა საქმე,
მერე შეიძლება „მავკაში“ გამოაც-
ხადონ და ვისაც ჰსურს, იმათ აიღონ
ეს იჯარა, თუნდაც ვაჭრებმა, თუნ-
დაც ჩინეთიდან მოსულეებმა. მაგრამ,
თუ ხალხისათვის სიკეთე უნდათ, თუ
უნდათ, რომ ხალხი ვაჭრების ცარცი-
საგან დაიხსნას, საჭიროა, რომ იმას
შეატყობინონ, გარკვევით გააგებინონ
და იჯარით ადებში ცოტა რამ უპი-
რატესობა მიეცესთ სხვებზე, გარეშე
პირებზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ
თუ ამ სახით გაიცემა სახელმწიფო
საიჯარო ადგილები, ამით გლეხებიც
დიდ სარგებლობას ნახვენ და არც
თვითონ სახელმწიფო ქონებათა გამ-
გეობა იქნება მოგებაში, რადგან ხა-
ზინისათვის გლეხებთან საქმის დაჭერა
ერთი-ორად უფრო სახეიროა და სა-
სარგებლო, ვინც რომლისამდე სხვა
წოდების ხალხთან.

ახალი ამბავი

რუსულს გაზეთში, „ზოლოს-
ში“ დაბეჭდილია ძველისი მომავალ
უნივერსიტეტის შესახებ ფელტონი,
რომლის ავტორის აზრით ეს უნივერ-
სიტეტი „მართა უმადესი განათლების
დამაგზაფრებელი კი არ იქნება კავკა-
ზი

სიაშია, აზამედ მის სსუფლებით აღიძრე-
ბიან და შემუშავდებიან კავკასიის შესა-
სებ ურგულგზარი სამეცნიერო კითხვები.
რამდენად მასწავ მოაზრება იქ (კავკა-
სიაში) აზრ თუ ნატურალისტებისათვის,
აზამედ ისტორიკოსთა და ლინგვისტთა-
თვისაც!

შემდეგ ავტორს მოჰყავს მეცნიერ-
ი ნატურალისტის ტესსლერის აზრი,
რომელიც მოსურნეა რაც შეიძლება
მალე გაიხსნას ძველისაში უნივერსი-
ტეტი, და მერე ამბობს, რომ, თუმ-
ცა ის ფული რომელიც შემოსწი-
რეს ამ მიზნისათვის თფილისშია, მუ-
თაისის ბანკმა და ქალაქ მუთაისმა
(სულ 160,000) მასთან შედარებით,
რაც უნივერსიტეტს მოუწდება, მარ-
თალია ერთობ ცოტაა, მაგრამ მო-
მავალში ამისთანა შესაწირავი კიდევ
მოსალოდნელია სხვა ქალაქთაგანაც.
და გარდა ამისა შესაძლებელია ის
ფულები, რომელიც ახლა იხარჯება
ადგილობრივთ სხვა-და-სხვა სასარგებ-
ლო საქმეებზე და ეხმარება სხვა-და-
სხვა საზოგადოებათა, უნივერსიტეტს
მოხმარდეს. ასე თუ იქნა, მაშინ სა-
ხასო ხაზინას, შედარებით, ცოტა ფუ-
ლის გამოღება დასჭირდებაო.

რა ადგილს უნდა გაიხსნას თუ
ელირსა ძველისაში უნივერსიტეტი? ამის
შესახებ ავტორი ამბობს:

„უნივერსიტეტისათვის შეწირულს
ფულში მუთაისი ბევრით არ ჩამორჩე-
ბა თფილისის და ამიტომაც შეიძლება
უკეთესი იქნებოდეს, რომ წინასწარ ყო-
ველ-მხრივ განუსჯავდ ან ამოვიჩიე-
დეთ უნივერსიტეტისათვის ადგილს, რად-
განაც მუთაისსაც აქვს, სხვათა შორის,
ბევრი წარმოსაჩინებელი თვისებანი და
ზოგიერთის მხრით აჭარბებს კიდევაც
თფილისსა.“

არა გეგონია, რომ ამ საგანზე ოდეს-
მე ჩამოვარდეს ლაპარაკი: თუ ღმერთმა

ფელტონი საენავი ჩვენის ცხოვრებიდან I

მრთ კნენას სოფელში ეწვიანაც-
ნობი ახალგაზდა განათლებული კა-
ცი, რომელმაც თავისი განათლება
დაგვირგინა სამი თვის სამზღვარ-გა-
რეთ ყოფნით და თითქმის ქართულიც
დავიწყდა!..
მრთს დილას უცბად გაიღება კა-
რები, შემოდის ეს ყმაწილი კნენას-
თან:
—ბუტენ ტაგ! მი ბეჭინდენ ზი,
ზიჰ, მაინე ლიბენს ვურდიგე ჭურ-
სტინ?.. Скажите пожалуйста, Ваше
сiятельство, როგორ გამოცელი-

ლა ჩვენი ქვეყანა, რა მშვენიერი
გამხდარა: სულ ის გორები, სულ ის
დალინები და წვანით შემოსილი
ხოლმები, რასაც შევიცარიამი ვხე-
დავდი; это прелесть что такое!..
თუმცა შევიცარიამი ბუნებასთან კა-
ცის ძალაც მოქმედობს და მით преи-
мущество ეძლევა; მაგრამ მაინც ჩვენ
უნდა მოგახსენოთ, Ваше сiятельство,
რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ სჯობს
შევიცარიას; даже находясь въ
первобытномъ состоянiи, ე. ი. თუმ-
ცა არის პირველ... პირველ... პირ-
ველ... ე. ი. პირველ ბიტურ სასტა-
იანიში!.. რომ არ შეიძლება ესრეთი
მშვენიერება, როგორიც ჩვენი სა-
ქართველო არის!.. представте себѣ,
წარმოიდგინეთ, კნენავ, მთელი ჩვე-

ნი ქვეყანა პოეტურად არის აშენე-
ბული: на каждомъ шагѣ полная
поэзія, ე. ი. ქართულად მოგახსენოთ
на каждомъ шагѣ ე. ი. ყველა ლა-
ჯებში მთელი პოეზია იხატება!.. მა-
გალითად, დილას რომ სანადიროთ
ვიყავი, იქ თვალ-წინ წამოვიდგა
მთელი პოეზია: მაღალ ხეებ-
ზედ ყვავებს გაუკეთებიათ ბუდე! წარ-
მოიდგინეთ მშვენიერი ბუდე; ამავე
ხეებზედ სხედან სხვა-და-სხვა მგალო-
ბელი ფრინველები და ჭიკჭიკობენ:
ყვავები, გვრიტები, ქარები, ქოტები,
მწყრები, ჰოპოპები ისე მშვენიერად,
что это прелесть! ხე გამოფულრუ-
ლია! წარმოიდგინეთ, კნენავ, გამო-
ფულრული და შიგ დაფრინავენ ბუ-
ზები, პეპლები, ფუტკრები, კრაზანე-

ბი... სულ ძირში ვილასიც სორო
იყო და იქ ვილაც ბუტბუტებდა, მგო-
ნია მგელები იყვნენ, არა Ваше сiя-
тельство? მაშ ვინ უნდა ყოფილი-
ყვნენ?!

ამ დროს სახლში ქათამი შემოვა,
რა დაინახავს:

—Ваше сiятельство, Ваше сiя-
тельство, пожолуйста კურიცას უთ-
ხარით გარეთ გავიდეს...

რა ჰქნას, საწყალმა თუ კი ქარ-
თული არ იცის!..

II

თავის დუქნის წინ სკამზედ ჩა-
მომჯდარია ვაჭარი და თავის ქნევით
ლაპარაკობს:

—მს მოდნის მამგონი თუ ენა-



ინება და გველირსა ძველსაში უნივერსიტეტი, რაღა თქმა უნდა, რომ ეს უნივერსიტეტი უიქველათ უნდა გაიხსნას მთელისში, რომელიც ცენტრია, შუა-გული ალაგია, როგორც მთელი ძველსაის მხრის განათლებისა, გონებით ცხოვრებისა, აგრეთვე ადმინისტრაციისა და სხვ.

* *

მართლაც განვირდა ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ქალაქში სხვა-და-სხვა პატარ-პატარა ქართულ წიგნების გამოცემა. ამ ორ კვირაში ექვსი შაუ-რიანი ლექსები გამოვიდა თითო-ორთა ფურცელზე დაბეჭდილი, პატარა ბიჭებს დაქვსთ და ჰყიდიან. სხვათა შორის გამოვიდნენ: „რუსის და მათის ომი“, „შალოს და ვაჟისა“, „ამ დროს ვითარება“, „მაჰაჯი“, „სხვა-და-სხვა ამბები“ და სხვ.

პატრონი რომ იყოს, ყველა ეს ბროშურები მოხვეტოს და ცეცხლში ჩააგდოს, მე-და-ჩემმა ღმერთმა, მადლი იქნება...

* *

სიღნაღის მაზრიდან გვატყობინებენ, რომ იქითგან გამოჩენილა ერთი რაღაც საშინელი ნადირი, რომელსაც ხალხი მგელ-კაცს ეძახის (რუსულად „გიენა“) და რომლისაგან მთელი აქაური ხალხი შეშინებული არიან. რამდენიმე სოფელში მოგარდა ეს საშინელი ნადირი, ზოგს საქონელი მოსტაცა, ზოგან ხალხი გააფუჭა. რამდენიმე ალაგას შიგ სოფელში შემოგარდა სახლებში პატარა ბავშვები მოიტაცა და შესჭამა.

შეშინებული ხალხი მთავრობას სთხოვს, რომ როგორმე ამ საძაგელ-მხეცისაგან დაიცვას.

* *

მიზიყიდამე გვწერენ, რომ ამ თვის 8-ს ძველად — მაჩხანის კალოებში ერთი ვიღაც გლეხი მომკვდარა, რომელსაც მოხუცებული სიდედრის მეტი არავინ ჰყოლია. ადგილობრივ მამასახლისს აუკრძალავს ხალხისათვის, რომ მიცვალებულის სახლში გადატანაზე და დასაფლავებაზე დახმარებოდნენ და ამის გამო საწყალ დედა-კაცს ურემზე დაუსვენებია მიცვალებული, რის ვაი-ვაგლახით, როგორც იყო, მიუყვანია შინ და იქ,

ხაზი, კბილით დავგლეჯამდი იმ ოჯახ-დაქცეული. თუ ყურუშაღ, ამტელი მოდნი გაგიგონია? მითქო ფოდრატითა ჰქონდეს აღებული! მართი კვირა არ ვაუშვებს, რომ რამე მოდნი არა ქნას!.. ახლა ჩვენი ქალები ნახეთ, რასა შერებინ, როცა მოდნი მოვიდა! სანამ არ შაიკერონ, ხორგელა ემართებათ: აღარც პური ჰამენ, აღარც ძინამთ, აღარც ტკბილი სიტყვა ამბობენ და სულ იბუტებიან... მოდი, რასა იქ? შაუკერე შენი ცოლი და შეილი მოდნის კაბა, **а на карману смотри**, ისე ცარიელია, რომ შინით ხელი ვერ ჩამიყვია, ვაი თუ დამეკარგოს-მეთქი!.. მართლა-და ეს რა დასალუპავი მოდნები იგონებენ: ეს აპრუწული კაბები ნახე, რა ამბავია! აკონ-

რადგან საფლავის ამომთხრელი და წამლები არავინ იყო, ამისგან მიცვალებული ათის დღის განმავლობაში დარჩენილი სახლში. ისეთ ნაირად აყროლებულა, რომ კაცი ახლოს ვერ ეკარებოდა თურმე, სიდედრიც მეზობლებთან იძინებდა ღამე. ბოლოს იქაურ სოფლებისათვის უთხოვნია დედა-კაცს, ამით შეუწყნარებიათ, ამოუთხრიათ საფლავი და დაუმარხათ...

* *

ქალაქში შაბათ-კვირას გვარიანი წიგნები იყო და თითქმის ცოტათი აგრილდა. მაგრამ დღეს, ორშაბათს კი, ჩვეულებრივი სიცხეები დაიჭირა.

* *

მართლიდამ გვატყობინებენ, რომ წელს ნამუშევარი ძალიან ბლომად მოვიდა, მაგრამ პურს, როგორც გარედამ ეტყობოდა, ისეთი გამოსავალი არა აქვსო, მსუბუქი პური არიან.

„დროებას“ კორესპონდენცია

თბილისი, 14-ს ივლისს. თუმცა გაზაფხულის დაქინებულმა წიგნებმა შეშინეს ძახეთის ხალხი: ყანა სრულიად გუდაფუშად გარდაიქცევა; ყანა ბაღანად გარდაქცევს ამოდენა განუწყვეტელმა წიგნებმა, ამბობდნენ შეშინებული გლეხები; მაგრამ დახე ჩვენს ბედნიერებას: იმ დროს, სწორედ იმ დროს გამოიდარა, როდესაც საქორი იყო ნათესის მცენარეებისათვის! დაიჭირა ახლა განუწყვეტელი მზიანი დღეები და ისე ნაირად გამოშუშა, გააფსო თავთავი მარცვლით და გახმო მოსამკვლად ყანები, რომ ძახელნი სიზმარშია-კი გერა ვნახედით ამ გვარს მოსავალს! ამისთანა წმინდა (უბალახი) ყანები, ნამეტნავად ბამოლმა-მხარში ჯერ ძახეთში არა ნახულაო! იმ ადგილებშია-კი, სადაც ყანასთან ეგვარი ბალახ-ბუღახი იმკვმოდა, წელს არ ურევია ბალახი!

რაიცა შევხება თვით მოსავლის სიუხვესა, ნუღარ მეტყვი: ზღვა არის, ზღვა, წელს ძახეთში პურის მოსავალი!

ძრიელ ცოტა-დაა დარჩომილი მოსამკალი ყანა.

კილი-დაკონკილი!.. მც-და-ათი არ-შინი მატერია სულ ხელის ტოლა ნაკუწები გახდნენ. რამდენიმე დაიკონკებენ კლავებზედ, ბეჭის თავებზედ, გულზედ, ქვემო ტანზედ — და გამოვიდა მოდნის კაბა!.. სწორედ გაზაფხულის ჭრელი პეპელები გვანან. ახლა ზოგსაც რომ თავისი კული ჯაჭვით წელზე დაუბამს, სოლუა ყსაბივით და ის ვერანი, ემე, კარსეთიც რომ მოუტყრიათ, ძლივსა სუნთქამენ, — აი სანახავი სწორედ გამოწული შამაიები გვანან... ბიჭო! თუ გინდა რომ შენი კაბა ეთრიოს და შენი ქმარი დაღუპო, დაბმული რაღათა გაქვს? და თუ გინდა ეგ ტიალი არ ეთრიოს, გძელი რათა შერები?.. აი დედაკაცის ჭკუა!.. მარ-

მუშა მკამი 1 მ., 1 მ. 40 კ. იყო დღემო.

სასიამოვნო სანახავია, როდესაც 10-20 ძნით დატვირთული ურემი მძიმედ მიდის სოფლისაკენ! შურო სასიამოვნო მოსასმენია ის ურემული სიმღერა, რომელიც „მწუხარე არის ვით გლოვის ხარი“ და რომელიც თუ მოჰბერს ნაღვლიანს, დაზარალებულს, „უკუ ჰყრის (ნაღველს) კიდევ ვით ღრუბელს ქარი!“

მეტად მძიმე მარცვლი აქვს წლე-ვანდელს ქეჩა და პურსა; ამისათვის ურიგო არ იქნება გლეხებმა, წყვით კი არა, როგორც წინად, ფუთობით, წონით გაყიდონ...

ნამეტნავა სიცხეებმა მეტად ავნეს სიმინდ-ფეტვებსა: ბაღმა-მხარში, სადაც კი შუა მინდვრებში ეთესა გაზაფხულის მოსავალი, თითქმის სრულიად წახდა. მაგრამ ამ გვარი ნათესები ცოტა იყო პურის ყანასთან: მომეტებულმა ხალხმა იმ ადგილებში დასთესეს სიმინდ-ფეტვი, სადაც თავის დღემო არა სცდება. ბამოლმა-მხარში კი სიმინდებიც და ფეტვებიც კარგია: ქალაქშიც და მინდვრებშიაც, რადგანაც აქაური მიწა მეტად ამტანია გვალვისა.

რაიცა შევხება ვენახებსა — კარგს იმედს გვაძლევს: ნაცარი მხოლოდ ორიოდ სოფელში გამოანდა, ისიც მცირედ. შვარვლში, რომელიც ნაცარის საზღვარად ითვლება, წელს არ არის ნაცარი, — და თუ იქ არ არის სხვაგან უფრო არ უნდა მოველოდეთ. მაგრამ ქვარელი ალავერდით ხომ არავისთან გადასულა?

გასეთის შემთხვევა.

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ „დროებაში“ დროთი-დრომდე იბეჭდებოდნენ კორესპონდენციები ძახეთიდან, რომელთაშიც ავტორი სხვათა-შორის ადგილობრივ ადმინისტრაციასაც ეხებოდა. ამ სტატიებზე მე დროზე ვერ ვაგე პასუხი ჩემგან დამოკიდებულ მიზნებისაგან და უფრო იმიტომ, რომ

თალია კაცებიც ცოტა ტუტუცები არიან ხოლმე, როცა აი იმას ჩაიცო-მენ ხოლმე კალთები მოგლეჯილი რომ აქვს, თითქო ხოჯივანქში უკრივ-ნია და კალთები მოუგლეჯიათო!.. **მე! одинъ слова, наши время пра-паль!** ახალგაზდა ქალები კიდევ არა-ფერი, ბებრები უარესი დახდნენ... აი ჩემი მსანა, კული ვერ აუწევია იმ ოჯახ-დაქცეული, ამბობს თუ მოდნის კაბა მინდაო. შენებები, შე ოხნო, მოდნის კაბა რომ გინდა, აქ გინდა ჩაიცო, თუ საიქიოს მიგაქვს-მეთქი. შე საწყალო, ვებნები, სანამ შაკერვა მასწორობ, სანამ შაბრიელა ან მიხეილა მოგვაპრებინ-მეთქი. **Она всю плачить, такой сердчитъ, какъ, Галанскій пѣтуху....** ეს მოდნის მამ-

ხანგრძლივს „კომანდირი“ „მწუხარე“ ყავი. რადგანც ქვემოთხსენიებულმა დგინებლათ მსურს დაგეგმოს თქვენს გაზეთში ეს შენიშვნა, ანუ იმეც მე შევეცები მხოლოდ იმ ადგილებს კახურ და თელაველ კორესპონდენტ-ციებისას, რომელნიც ავტორი ამტყუვნებდა ადგილობრივს ადმინისტრაციას, ვითომც ისინი გულ-აცრუებულად ეპყრობოდნენ თავიანთ მოვალეობას; უმეტეს ნაწილს კი იმა კორესპონდენტებისას მე უპასუხოთ დაეტოვებ, რადგანაც მკითხველი საზოგადოება თვითონ მინდებოდა მათს სიყალბეს.

ამ წლის „დროების“ № 12 ძახეთიდან კორესპონდენციის ავტორი სხვათა-შორის სწერს, რომ მწუხარში ხორცი ძვირად იყიდებოდაო და ხორაგეულობაზე ტაქსა არ იყო დადებულიო.

მწუხარში 1 გირვანქა ძროხის და ცხვრის ხორცზე 9 კაპ. იყო ფასი დადგენილი და ხორაგეულობაზე კი ტაქსა ქ. თელავში გაკრული იყო ამ ქალაქის ყველა გამოსაჩენ ადგილში ჩემის ხელის მოწერით და აგრეთვე დეპუტატის ი. მარკაროვის და ადგილობრივ ეპქართა და ყასებთა: შ. მკანეზოვისა, ა. ბუკასოვისა, ბ. მიუევისა, ა. ბეჟანოვისა, ზ. მკიტაი-ვისა, ს. შლოხანოვისა, ა. მკალა-შვილისა, ს. სტეფანოვისა, ა. თამა-ზოვისა და სხვ.

№ 81-ში კორესპონდენტი სხვათა უადგილო საყვედურთა შორის ამბობს, რომ მეტი არ იქნებოდა ადგილობრივს ადმინისტრაციისათვისაო ორიოდ საზოგადო ფენის-ადგილებს მაინც გააკეთებდესო.

თელავის მაზრის სანიტარულმა კომისიამ თავის საჭურწალო დადგენილობით, 17 მარტს ამა წლისა, ქალაქის გასასუფთავებლად მიღებულ სხვა ღონისძიებათა შორის დადგინა აგრეთვე: გაკეთებულ იქმნას ორი საზოგადო ფენის ადგილი: ერთი ახალ-თელავში და მეორე სივის-წყალზე. ამ ჟურნალზე ხელი მოვაწერეთ: მე და წევრებმა: ახალურთ წინამძღოლის თ. რ. მახვანშილისაგან, თ. ალ. მახვანშილისაგან და თელავის 5 მცხოვრებელთაგან. ამ ფენის ადგი-

გონიც ერთი-ბეწო ნამუსი არა ჰქონია, რომ ამისთანა მოდნები იგონებს... აი ერთი კიდევ რა არი, სალაფავია, თუ რაღაც ეშმაკი, ლამის ჩვენი ქალები სულ ტიტველა დაიარონ. აბა ეს როგორი მოდნია? სოვისტი არ არის? ძალეები მოგლეჯილი, გული მოგლეჯილი, უკან მოგლეჯილი, ჩაღვადრის ცხენებივით დაშარტული. აბა ახლა თუ ყოჩაღები არიან ჩვენი ქალები, ერთი კრუხი გამოიჩიონ! **მე! теперь всѣ наши маладой гос-пода спортилъ, зачѣмъ лишнй слова гаваримъ.**

ა. ც.

ლებსათვის ნაჩვენებია ადგილები, მოძებნილია მოიჯარადრები და ფულის შეკრება დაწყებულია ამ საქმისათვის.

იმავ კორესპონდენციაში ავტორი მამულებს, რომ მე ტყუილ-უბრალოდ ვაცდენ სოფლის მოხელეებს, რომელთაც მაზრის სასამართლოში ეუბნებოდა იმას, რისიც გამოცხადება შემძლია მაზრაში მიმოსვლის დროს და სხვ. მამასახლისები და მათი თანამშემწენი იმ სოფლებისა, რომელნიც ალაზნის მარჯვენა მდებარეობენ და თელავზედ 18—24 ვერსტის მგერი არ არიან მოშორებულნი, გამოწვეულ იყვნენ და საკვლავად გამოიწვევიან მაზრის სასამართლოში, თანხმად ზუბერნიის უფროსის განკარგულებისა 14 ივნ. 1879 წ., № 3960. რაც შეეხებათ მოხელეთ იმ სოფლებისა, რომელნიც ალაზნის მარცხენა არიან, ისინი უნდა გამოეცხადონ თელავის მაზრის პრესტეს სოფ. ქვარკელში. როგორც 2 აპრილს, ისე არც უწინ და არც შემდეგ ეს განკარგულება არ დარღვეულა.

№ 117-ში თქმულია: ძახეთმა გამოიყვანა 2000 კაცი კალიების გასაქვლათ. თელავი, რომ ყოველთვის სოფლებს რჩება უკან ახლაც დამტკიცდა: იმას 360 კაცი უნდა გამოიყვანა და მის მაგიერ მხოლოდ 140 გამოიყვანა. როგორც ისმის, მაზრის უფროსს ოც-ოცი მან. შეუკრებია თითო მუშისათვის იმ პირობით, რომ დანარჩენი მუშები სამუშაო ადგილზე იქირავოს.

თფილისის გუბერნატორის ტელეგრაფის თანახმად (9 მაისს № 2932) თელავის მაზრას 2000 მუშა უნდა გამოეყვანა შარაიანში კალიის ამოსაწვევად. ამ რიცხვის თანაბრად განაწილების დროს თელავს ხედა 349 კაცი, მათ შორის მე-2 გილდის ვაჭრებს 20, მაშასადამე თელავის მოქალაქეთა უნდა გამოეყვანათ 329 კაცი; სულ კი გამოიყვანეს 221; დანარჩენებზე კი (მათ შორის 20 კაცი) ვაჭრებთანზე, რომელთაც ფული უნდა მოეტანათ (XI ტ. 74 მუხ. სავ. წესდ.) მოხსენდა თფილისის გუბერნიის უფროსს ორი რაპორტი, 14 მაისს № 2993 და 3004, რომლითაც მე ვთხოვლობდი ნება-რთვას გამოუსვლელ მუშების წილ აღებული ფულების ქალაქის შემოსავალში შეტანას. ეს რაპორტები ჯერ არ დამტკიცებულან და თუ დამტკიცდენ, მაშინაც მე კი არ შეეკრებოდა ფულებს, არამედ ქალაქის კრებისაგან 12 ამორჩეული პირი.

მ. თელავის № 130-ში სწერია, კომისიამ დეპუტატის ძახაროვის ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა და ეს მოახსენა ადგილობრივ ადმინისტრაციას, მაგრამ მაზრის უფროსმა, მისმა თანამშემწემ და ქალაქის პრესტებმა ამას ღირსეული ყურადღება არ მიაქციეს, და კომისია ამის გამო იძულებულ იყო მაზრის სამმართველოზე ეჩილა ლუბერნატორთანა.

ამ წლის 24 მაისს ყოფილს კრე-

ბის დროს თელავის საზოგადოებამ აღიზიანა თვის შორის 12 კაცი, როგორც სპონორ და სათემო გადასახადის თანაბრად განაწილებისათვის ამ წელს, აგრეთვე ძახაროვისაგან 1879 წ. ხაზინის და სათემო გადასახადის მოკრების დროს მოქმედების გასაჩხრეკლად. ამ მისის იმავე წლისას ზოგიერთმა ამ ამორჩეულთაგანმა მომცეს მე რაპორტი, რომელშიაც ძახაროვს ამტყუებდნენ ბოროტ-მოქმედებაში, რომელნიც ვითომც იმას ჩადენდნენ 1879 წ. გადასახადების მოკრების დროს და თხოვლობდნენ მისი ადგილიდან გადაყენებას.

მსურდა რა დავრწმუნებულყავე ამორჩეულთა პირების მოხსენების სიმართლეში მე მოვახდინე განკარგულება 6 მაისს, № 2845, ე. ი. რაპორტის მიღების დღესვე, რომ განეხილათ მათ ძახაროვის მოქმედება 1879 წ. დაწერათ და წარმოედგინათ ჩემთვის კანონიერ მსგელობის მისაცემათ. ამასთანავე ვუთხარი რომ დაეჩქარებინათ ამ წლის გადასახადის განაწილება. მაგრამ ამორჩეულთა დღემდისაც არ წარმოუდგენიათ ჩემთვის აღმასრულებელი მოხსენება.

„დროების“ № 133 წერილი ამბობს, რომ კალიის გასაწვევად გაგზავნილი 2000 კაცი დაბრუნდნო, მერმე ხელ-ახლავ გაგზავნეს 750 კაცი და უკანასკნელი პარტია—500 კაცი—შეკრებილია, მაგრამ ჯერ არ გაგზავნილა, რადგანაც მაზრის უფროსის თხოვნას ელიანო, რომლითაც მუშების დათხოვნას თხოვლობდა.

იმ მოხელეებზე, რომელნიც 2000 კაცს გაჰყვნენ ცუდი ხმები ისმის: 1, რომ იმათ მუშაობის გათავების ვადამდე ბევრი მუშა დაუთხოვნიათ (განსაკუთრებით ყვარელები და შილდელები) რაისთვისაც საკმაო ფული მიუღიათ და 2, რომ იმათ გაუყიდათ ფქვილიდან დარჩენილი ეკონომია და ფული კი ჯიბეში ჩაუდგიათ, და რადგანაც ამ მოხელეებს ფულის გაყოფის დროს ჩხუბი მოუვიდათ, ამიტომაც მაზრის უფროსს საჩივარი მისცეს. პეტროს უკერის, თუ რატომ გაჰყვა 2000 კაცს 4 მოხელე და 750-ს კი ცხრა?

60 კაცი ყვარელები, ძველ-გავაზელები, შაქრიანელნი და თოგნიანელები ამ ხარკისაგან მე განვათავისუფლე, იმ მიზეზთა გამო, რომელნიც მოხსენებულნა ლუბერნატორისადმი მირთმეულ რაპორტში 14-ს და 18-ს მაისს № 2992 და 3430, და მუშაობის ზედამხედველნი მოხელენი კი არ განმითავისუფლებია. მუშაობიდან არავის არ უშვებდნენ და გაქცევით მხოლოდ ერთი გაიქცა ს. ძურდელაურის მცხოვრები შოთოლაშვილი, მაგრამ ისიც დაიჭირა სათემო ღარჯის მხედარმა და მე წარამიდგინა.

2000 მუშის რიცხვიდან თელავიდან წამოვიდა შარაიანში 13 მაისს საღამოს 1814 მუშა, რომელნიც სამუშაო ადგილზე კიდევ მოვიდნენ. 16 რიცხვს ნაშუადღევს 3 საათზე მუშებს მე თვითონ მივყავებოდი და

4 ჩემი მოქმედებარე მოხელენი. როცა ადგილზედ მივედი. მუშები ყველანი გადათელიონი იყვნენ შარაიანის საპრესტოსადმი უჩასტის ზედამხედველების პოლიციის ბრენის, მ. ი. ძახაროვი და ბ. შორანოვის თან-დაწრებით და აგრეთვე იმავე საპრესტოს პირველ ორი უჩასტის უფროსებისა და გამოჩნდა, რომ ყველანი თავიანთ ადგილას იყვნენ.

იმავ დღეს სოტნების უფროსებმა და ხაბაზებმა, რომელნიც თითო სოტნიდან ცალკე იყვნენ ამორჩეულნი—ფქვილის ზედამხედველის ძახაროვისაგან მიიღეს ხვედრი ფქვილი, ე. ი. თითო მუშისათვის 3 გირვანქა დღეში. მართა მიიღეს სამი დღის. თუმცა ფქვილი მიიღეს, მაგრამ არც იმ დღეს და არც მეორეს მუშებისათვის არ მიუციათ გამომცხვარი პურის სრული პროპორცია, იმიტომ რომ არ იყო საკმარისი ფეხები და პურის გამოსაცხობი სხვა იარაღები, და მხოლოდ მესამე დღეს იწყეს მუშებმა პურის სრული ულუფის მიღება. ამ ნაირ უცაბედ შემთხვევათა გამო მუშებს კი ძალი ფქვილი დარჩათ.

დათხოვნის დროს მუშებს ოთხი დღის ფქვილი მიეცათ: სამი დღისთვის პურები გამოსაცხვს და დაიყვეს და დანარჩენი კი უწინ დარჩენილ ფქვილს შეჰმატეს. დათხოვნის წინ დღეს მე შევეკრიბე ყველა სოტნის უფროსები, ხაბაზები და თითო სოტნიდან ხუთ-ხუთი კაცი და გამოვუცხადე რომ მათ შეუძლიანთ დარჩენილი ფქვილის ან თან წადება ან და გაყიდვა და აღებული ფულის თანაბრად გაყოფა. ფქვილი და მარილი იმათ გაჰყიდეს. იქ მყოფნი ჩემი მექმედებარე მოხელენი ჩემის ბრძანებით თვალ-ყურს ადევნებდნენ მხოლოდ მას, რომ სოტნის უფროსებს, ხაბაზებს და აღმორჩეულთ ბოროტ-მოქმედება არ მოეხდინათ ფქვილის გაყიდვის დროს. მაშასადამე თვითონ იმათ არაფერი გაუყიდათ და მით უფრო ჯიბეში ეკრავნენ ჩადებდნენ. სოტნის უფროსების კერძო გამოკითხვიდან აღმოჩნდა, რომ მუშებს მიეღოთ კაცზე 35—50 კაპიკამდე. ეს განსხვავება იმიტომ როხდა, რომ სოტნები ერთ-და-იმავე ფასით არ ჰყიდდნენ პურის ფქვილს და მარილს. მეტი არ იქნება ეთქვა, რომ შარაიანში დამთხოვნის მეორე დღეს მე თვითონ მოვახსენე ჩემს უფროსს, რომ მუშებმა დაჰყიდეს ეკონომიით დარჩენილი და მარილი-თქო.

პორრესპონდენტის გასაკვირველად, თუ რატომ 2000 მუშას 4 მოხელე მიჰყვებოდა და 750-ს კი ცხრა, უნდა ეთქვა რომ ეს თვით გუბერნიის უფროსის პირადი ბძანება და ტელეგრაფის თანახმად (26 მაისს № 8329) იყო მოხდენილი, რადგანაც ის ცხრა მართა თელავის მაზრის მუშების ზედამხედველნი კი არ იყვნენ არამედ თფილისის მაზრაში მომუშავეთაც, რომელნიც ჩემსავე განკარგულებაში იყვნენ.

„დროების“ № 136 სხვათაგანთაგან ნათქვამია, რომ თელავის მაზრის უფროსმა ბომბოროს არე ჩააბარა ვილაც თათარს ძელ-ბალის, რომელსაც პირობად დაუდო, რომ რაც კი დაიკარგება იმ ადგილებში პასუხი მან უნდა აგოს. მა იმ ადგილს იქით თუ გინდ კაციც მოჰქლან ძელ-ბალის არაფერი მოეკითხებო. ძელ-ბალისთან არაფითარი პირობა არ შემიკრავს და არც ერთი ადგილი მისთვის არ ჩამიბარებია.

მე მსურს კანონიერ პასუხისგებას მიეცე „დროების“ № 117, 133 და 136-ში დაბეჭდილ კორრესპონდენციების ავტორნი, რადგანც ისინი ტყუილად ვამტყუებენ როგორც მე, ისე ჩემს ხელ-ქვევეთ მოხელეთაც და ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო მათი სახელი და გვარი მაცნობოთ.

თელავის მაზრის უფროსი
თ. ნ. ჩოლაყაშვილი.

ივლისი 1880 წ.

ქ. თელავი.

შენიშვნა: რედაქციის ერთი წევრთაგანი, ძახეთში ყოფნის დროს, თითქმის ყველა იმ ფაქტების სინამდვილეში, რომელიც აქ ამ წერილში თელავის პატივცემულ უფროსს თ. ნ. ჩ. ჩოლაყაშვილს მოჰყავს, ოფიციალურის დოკუმენტებით დარწმუნდა. ამიტომაც სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ ჩვენს თელაველს კორრესპონდენტს, იმ ზოგიერთ ფაქტების შესახებ, შეცდომა მოსვლია.

რაიცა შეეხება კორრესპონდენტის ენაობას, გამოაშკარავებას, ამ კორრესპონდენტისაგან გვაქვს ჩვენ ნება-რთვა, რომ თუ რამე საჩივარი ასტყდება ჩემ ნაწერების შესახებ, პასუხის მგებელი მე ვარო და შეგიძლიანთ დამასახელოთო; ამის გამო ვასახელებთ იმას: ჩემი მუდმივი თელაველი კორრესპონდენტი არის—რომან ძამსაშვილი—ცამცივეი.

რედ.

ბ. რედაქტორო. ღღევანდელ თქვენს გაზეთის ნომერში იყო დაბეჭდილი ერთი შენიშვნა, რომ ხშირად ტაქტიკების გამოცვლის შემდეგ მე პურები და მეფურნეები ჰყიდიან ისევე იმ ფასად, როგორათაც წინათაო და ურჩევთ, კარგი იქნება ქართულს ენაზედ იყოს ტაქტიკების ფურცლები დაბეჭდილი და მიკრული ყველა მეპურების, მეფურნეების და ყასბების დაქნებულაო.

მსგები სულ ისე ჰქმნარიტია, როგორათაც ჩვენ ქრისტიანებს გვრწამს მრისტე.

მა ამასთანავე მსურს მოგახსენოთ, რომ 1877 წელს ნოემბრის 29-დგან ე. ი. იმ დღიდან, როდესაც მე ამომარჩიეს ხელოსნების თავათ და ამ ამორჩევამ მე გამხადა მოვალედ ვიზრუნო ხელოსნების კეთილ-დღეობისათვის, იმ დღის აქეთ ბევრჯელ ვთხოვე ბ. ღოლუხანოვს მანამ ის

ასრულებდა ძალაქის თავის თანამდებობასა და იმის შემდეგ ბერძნულ ეთნოგ. მატინოვსკი, რომ დაე-ბეჭდებინათ ქართულსა და სომხურს ენებზედ ტაქტიკების ფურცლები და ეგზავნათ ხოლმე ყოველთვის სახე-ლოსნო შპრავაში. მე ეს მიწოდდა იმიტომ, რომ ეს ფურცლები დამერი-გებინა ყველა უსტაბაშებისათვის, რომ-ლებიც გამოუცხადებდნენ თავიანთ ჰამკრებს და მაში აღარ მოსტყუე-დებოდნენ ხელოვნები მეზურებისა და მეფურებისაგან. მაგრამ დღევანდ-ლამდის ჩემი თხოვნა არ ასრულეს, თუმცა ავუსხენი რამდენათ იქნა ხე-ლოსნების სასარგებლო და სხვა მცხოვრებლებისათვისაც მეტად რე-ლიზებისათვის.

მე ამას იმიტომ კი არ ვაცხადებ, რომ ვამდუროდებ ღოღოუხანოვს ან მატინოვს; არა, მე იმიტომ ვაცხადებ, რომ მოვგონო ძალაქის თვით გამ-გობას, რომ უეჭველათ დაბეჭდი-ნონ ქართულსა და სომხურს ენებზედ ტაქტიკის ფურცლები და გამოვიგზავ-ნონ ხოლმე ყოველთვის სახელოსნო შპრავაში 200-სი ფურცელი მაინც თითოჯერ.

ზარდა ამისა ძალიან კარგი იქნება რომ მიაკრან ტაქტიკის ფურცლები დაბეჭდილი რუსულს, ქართულს, სომხურს და თათრულს ენებზედ ყვე-ლა მეზურისა, მეფურებისა და ყას-ბის ღუქნებზედ, რომელითაც დიდი შემწეობა მიეცემა მცხოვრებლებს.

ა. კანსაძე.

განცხადებანი

სამზაბათს, 22 მაათათვეს

ქართული სცენის მოყვარულთაგან სურამის მომავალ სასოფლო შკოლის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება:

I

„მე მიწადა კენიდა გავხდე“
პომედიკა ზ. ანტონოვისა.

II

„ბიძიასთან გავმოსუმრება“
მოღვეილი თ. რ. პრისტავის.

ქართული ტრუპის არტისტი პ. შიფიანიც თამაშობს თავის როლს „ბიძიასთან გამოსუმრებაში“.

მტოვებ ტყის ვაჭრობასა და ამის გამო, რადგან კიდევ დარჩა გაუსაღე-ბელი 5,000 კარგი მზრალი ფიცა-რი ფიჭვისა და ნაძვისა 1 1/2 ვერ-შოკიდან 1 დიუმამდინ (გოჯამდინ) სისქით, ეყიდი ამ ტყის მასალას და ვისაც ჰსურს შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკს ბუჭყიევს, არსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

თუ მსურველი აღმოჩნდება და ყვე-ლა ამ მასალას ერთად იყიდის, თითო ფიცარზე 5% დაუთმობ.

აქვე იყიდება გერკალური ხეების გაღასატანად.

(3—2).

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სა-გაჭრო სახლებთან პირდაპირ ნაცნო-ბობამ და პირდაპირის კავშირის ქო-ნებამ, შეგვამდებინა დაგვავსა ქ. ქუ-თაისში გაჭრობა

ს ა კ უ თ რ ი ზ

სამზღვარ გარე-თელ მოღის სა-ქონლისა

NOUVEAUTÉS PARISI-ENNES-ის

ფ ი მ ი თ

მაცნობებთ რა ამას აქაურს პატივ ცემულს საზოგადოებას, ვიმედუ-ლობთ, რომ ის არ დაგეტოვებს უყუ-რადღებოთ და ღირს გეყოფს მოგ-ემართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენი საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდან ყოველ-გვარ მა-შინების, ავეჯეულების, ფორტეპი-ნოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის ბიზნაზის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარ-ის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შეიღებოთურთ.

მსურს ვიყიდო

საბალახე და სა-ბოსტნე ადგილი

წყლის პირას, სივრცით 25 დმნი-ტინამდინ, რომლის ფასი არ აღემა-ტებოდეს 3,000 მანეთს და რომელიც ოც ვერსტზე შორს არ იმყოფებო-დეს მბილისიდან.

ვისაც აქვს ამ გვარი გასაყიდი მა-მული, ეთხოვ მაცნობოს ამ აღრე-სით:

მბილისს, სასახლის ქუჩაზე, ხა-რაროვის მაღაზიაში.

ა. ჯანადაშვილი.

(4—4)

ახლანდელ დიდს

გაგოფენის

დროს,

ოღოვანგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაგ-ინტოშები (მა; სახურავები) 6 მანეთიდან 20-მდე შხოტები მოსაფხველებითურთ თითო 75 კ.; შეგვეთილია შეფუთვადში გან-საკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწევილა ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფუთვადის დანები ჩანგლებიანთ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდან 20-მანეთამდე. ჩაინიგები ბრიტანის მეტალისაგან 30 კაპეი-კიდან 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნე-ზია, ოსმალის შარბათი და სამწეურ-ალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკე-

თესო ზორტ-გვინი და სერესი 1 მ. 40 კ ბოთლი, და შამპანის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. ინგლისურს მაღა-ზიაში. (40—36)

პარუს ნა, ბუმბუცია, ტრიკო, დრა-პი, ხავერდი მებელისა და ფაეტონე-ბისათვის, უნაგრები, ფორტის ქალა-ლი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდ-რე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

პატენტირანი ფიგურები

თბებისათვის 1 მ. 50-დან და ცხენე-ბისათვის 1 მ. 75-დან; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდან; სარძევე 30 კაპ.; რუძეები 5 კ.-დან; ფილტრე-ბი (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დან და გედრები 1 მან-დან; თეფშები 2 მ-დან ინიდუჟ; შოკალადის კანფეტები 20 კ-დან თითო ყუთი და სხვ. ინგლი-სურს მაღაზიაში. (100—27)

მურაბა გემრიელი, კანფეტები ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვი-ლისათვის, ქურჭლეული, ჩაინიგები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფ-რო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

პარბოლის პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავთომო-ფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისი მაღაზიაში. (40—23)

დაბოლოებითი

დაყიდვა

ამ თვის ბოლომდის ინგლისის მა-ღაზიაში, ანწრუნის ქარვასლაში. ჩულ-ქები, წინდები, ცხვირ-სახოცები, პა-რუსინები, სურათები, ღუზები, თოფე-ბი, რევილვერები, კლიტენი, ხერხე-ბი, დანები. კოვზები, სამწეურვალო ციტრატ მაგნეზიები და სხ. იყიდება ეხლა 25% და 50% უფრო იაფად ვიდრე სხვაგან არის. (10—7)

ი ე ი დ ე ბ ა

ახალი წიგნი

სამწერლო

თაიგული

ბამოცემული ილია ჭყონისაგან.

შ ი ნ ა ა რ ს ი :

I. ბაბუას თხოვნა (ლექი) მ. შაზე-ლისა II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჟ—სა. III ჩემს სურათებზე (ორი ლექი) მ. შაზელისა. IV მ... სადმი (ლექი) მ—სა. V. ფერი ფერს—

მაღლი ღმერთის სამი მკვლელობა კომედია ცელოი. თარგმ. პლექი ჰიკინაძისაგან. VI ჩივილი ხვედრი-სადმი (ლექი) რაფ. პრისტავისა. VII ხასიათის გაგვინა, სამუელ სმაილ-სისა VIII უკითხავი ზასუსი (ლექი) ნ. დ—სა. IX ხასლი მოგვინება ჩვენს ღიტერატურაში. X მტარვა-ლებს (ლექი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში ბოლოვინის პროსპექტზე და „არარატის“ წიგნის მაღაზიაში მიხაილოვის ხილთან.

ქუთაისში პ. ჭ. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

შასი თითო წიგნისა ათი შაური, გაგზავნილ სხვა ქალაქებში სამა-ზაზი.

კანტორა

ოღმსის ვაჭრის

იაბ. ზალინოვის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის ზონსჰექტი, ჭიშერის სახლი)

ქეიდულობს და ქეიდის, კომპისიით ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წამამდგენელია რუსის და სმა-ფდვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნე-ბისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნაწდით ქეიდის და ქეიდულობს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, სწვრნი-ლა და კოლონიალურ საქონელს. (30—20)

შ ე ნ ი შ ნ ა

რადგან მოელს ქვეყანაში გამაჩენილი და მიდებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ხლა 2 მანეთად ღირს. (100—18)

წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები ღუფინი 2 მანეთიდან! (30—23)

დაიგეჟდა და ისყიდება პართანო-ვის წიგნის მაღაზიაში

ალექსი

ზღაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.